საქციო საზოგადოება
ენერგოკავშირი

Joint stock company
ENERGOKAVSHIRI

17/85 30 12 2025

ბრძანება

სს „ენერგოკავშირი"-ს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ტარიფის ცვლილების შესახებ

ვბრძანებ

გამომდინარე იქიდან, რომ „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ" სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2025 წლის 29 დეკემბრის №67 დადგენილებით, 2026 წლის 1 იანვრიდან სს „ენერგოკავშირი"-ს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი კუბურ მეტრი ბუნებრივი გაზის ტარიფი განისაზღვრა 48.975 თეთრით დღგ-ს გარეშე, 57.791 თეთრით დღგ-ს ჩათვლით, 2026 წლის 1 იანვრიდან სს „ენერგოკავშირი"-ს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი კუბურ მეტრი ბუნებრივი გაზის ტარიფი დადგინდეს 57.791 თეთრი, დღგ-ს ჩათვლით.

დაევალოს საზოგადოების თანამშრომელს, მედეა კაზარაშვილს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ბილინგის სისტემაში.

საფუძველი: სს „ენერგოკავშირი"-ს 2025 წლის 30 დეკემბრის №17/85 ბრძანება და „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ" სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2025 წლის 29 დეკემბრის №67 დადგენილება.

სს „ენერგოკავშირი"-ს
გენერალური დირექტორი /[illegible]ურაძე/

ქ. თბილისი, მუხიანის I მ/რ, კორპუსი № 5 (ი. ნონეშვილის ქ.) ს.ი. 0172, ტელ. 64-28-69 საიდენტ. კოდი 200 095 887, ანგარიშსწორების

Building N 5, I mikro/region (I. Noneshvilstr.) Mukhiani, Tbilisi, Georgia. Fost code 0172, tel. 64-28-69. Identifikation kode 200 095 887.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №67
2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 29-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილების (სსმ III, N2, 09.01.2006წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) მე-4 მუხლში მოცემული ცხრილის 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

29.	სს „ენერგოკავშირი“ 2026 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე	37.055	10.094	48.975 დღგ-ს გარეშე

დღგ-ს ჩათვლით 57.791 თეთრი

მუხლი 2

სს „ენერგოკავშირის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფში ფასნამატის ოდენობა შეადგენს 1.000 თეთრი/კუბური მეტრი.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი
კომისიის წევრი	დავით თვალაბეიშვილი
კომისიის წევრი	გივი სანიკიძე